<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი
„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016009) 218[1] მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრემიერ-მინისტრი პარლამენტს კონკურსის შედეგად შერჩეულ პირთაგან წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის (შემდგომ – საქსტატი) საბჭოს წევრის 5 ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 8 კანდიდატურას, ხოლო თუ ვაკანტური თანამდებობა 5-ზე ნაკლებია – არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა ჯამურ რაოდენობაზე არანაკლებ ერთით მეტ კანდიდატურას.“

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თუ რომელიმე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატს თანხმობა არ მიეცა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი 21 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის შედეგად შერჩეულ სხვა პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც თანხმობა მიეცემათ ამ მუხლით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხადდება ხელახალი კონკურსი. ხელახალი კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატებისთვის თანხმობის მიცემა ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი

ქ. ქუთაისი
--/--/----